თანასწორობის მოძრაობის საქმიანობის ანგარიში
2018

"თანასწორობის მოძრაობის" საქმიანობის ანგარიში 2018

2018 წლის განმავლობაში თანასწორობის მოძრაობა აქტიურად მუშაობდა ლგბტქ თემის გაძლიერებისთვის. წარმოგიდგენთ, მოკლედ ჩვენ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომელიც 2018 წლის განმავლობაში განვახორციელეთ

2018 წელს ჩვენი მიზნები იყო:

- ლგბტქ თემის წარმომადგენლებისთვის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- ლგბტქ თემის მობილიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- ლგბტქ თემის წარმომადგენლების გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ლგბტქი თემის წევრებსა და აქტივისტებთან შეხვედრა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ 18.06.2018

ქვიარ თემის წარმომადგენლების წვდომა ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურებებზე:

- აივ ინფექციაზე ტესტირება ჩაიტარა მსმ და ტრანს თემის 1 500-მდე წარმომადგენელმა.
- საქართველოს ხუთ ქალაქში გაიცა 14 000-მდე კონდომი და 5 000-მდე ლუბრიკანტი.
- პრეპ-ის პროგრამაში ჩაერთო და მედიკამენტ ტრუვადას უფასოდ იღებს 130 ადმიანი.

ფსიქოლოგის მომსახურება:

- ფსიქოლოგის მომსახურებით ისარგებლა ლგბტქ თემის, დაახლოებით, 200-მდე წარმომადგენელმა.
- სოციალური მუშაკის მომსახურებით ისარგებლა ლგბტქ თემის 150-ზე მეტმა წევრმა.
- გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, საცხოვრებლის მოძიებასა და სხვა ექსტრემალურ სიტუაციებზე 12 ბენეფიციარზე გაიცა 1 875 ლარი.
- ორგანიზაციის იურისტმა მომსახურება გაუწია ქვიარ თემის 52 წარმომადგენელს.

თავდასხმა თანასწორობის მოძრაობის ოფისზე
ფოტო: მიხეილ გვაძაბია / ნეტგაზეთი

ინსტალაცია „ყვითელი ავტობუსი“

ქვიარ თემის მობილიზაცია და ინტეგრაციის ხელშეწყობა:

- წლის განმავლობაში ჩატარდა ქვიარ თემის ლიდერთა ბანაკები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 36-მა ადამიანმა.
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ქვიარ და აივ/შიდსის საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1 600-მა ადამიანმა.
- გაიცა 2 მცირე გრანტი თანასწორობის მოძრაობის ოფისში ქვიარ-ფემინისტური კითხვის წრისა და დაკუმენტური ფილმების ჩვენებებისთვის.
- ჩატარდა 7 საჯარო ლექცია, რომლებსაც თემის 140 წევრი დაესწრო.

თანასწორობის მოძრაობის გუნდი მონაწილეობს მარათონში
Wings for Life

ქვიარ თემის წარმომადგენლების გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება:

- წელს განვახორციელეთ პროექტი „თემის ხმა სტიგმის წინააღმდეგ“, რომლის ფარგლებში ექიმმა ლექტორმა, პოლიციელმა, ჟურნალისტმა და ქვიარ აქტივისტებმა მხარდამჭერი მიმართვები გაავრცელეს. კამპანია დაეფუძნა ფოკუს-ჯგუფებს, რომლებშიც ქვიარ თემის 129 წევრი და 27 სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი მონაწილეობდა.
- ჩატარდა ერთი საჯარო ღონისძიება - 17 მაისი, რომელიც გავმართეთ პარტიზანულად თბილისის სხვადასხვა ადგილას.
- 1 მაისს პარლამენტთან გავმართეთ აქცია სოფო კილაძის განცხადების საპასუხოდ, რომ 17 მაისს ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღეს არ აღნიშნავდნენ.
- 17 ივნისს ჩატარდა საჯარო დისკუსია - აქტივიზმი თანასწორობისთვის.
- აგვისტოში ჩატარდა ჟურნალისტების ტრენინგი - ლგბტ საკითხებისა და ეთიკური გაშუქების თაობაზე.

თანასწორობის მოძრაობის სტენდი ფესტივალზე Tbilisi Open Air

ჯანდაცვის პოლიტიკა და ადვოკატირება:

- გაიმართა საჯარო შეხვედრები ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში ჩართულ მხარეებთან და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან.
- ვიკვლიეთ ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებები.
- ჩატარდა აივ-დადებითი ადამიანების კმაყოფილების კვლევა.
- პრევენციული სერვისების ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევა.
- აივ კასკადის კვლევა.

ადვოკატირება და მედიაკამპანიები ფეისბუქზე:

- კამპანია „ნუ დამტოვებ კანონს მიღმა!“ - 10 ვიდეო (450 000 ნახვა)
- კამპანია „თემის ხმა სტიგმის წინააღმდეგ“ - 10 ვიდეო (202 608 ნახვა)
- გენდერის სამართლებრივი აღიარება - 2 სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საქმე.
- სარჩელი სისხლის დონაციის შესახებ - წარმოების პროცესშია.

17 მაისის პარტიზანული აქცია
ფოტო: მიხეილ მეფარიშვილი/ ნეტგაზეთი